ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 442612817
თარიღი:08/05/2026

ქალაქ ქუთაისში, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე ზვიად გამსახურდიას, არსენ იყალთოელის, გიორგი ჭყონდიდელის ქანდაკებებისა და დავით ამაშენებელის ფრესკული მოზაიკის განსათავსებლად საუკეთესო ესკიზური კონცეფციის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის პროგრამისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" და "ე.ვ" ქვეპუნქტების საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისში, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე ზვიად გამსახურდიას, არსენ იყალთოელის, გიორგი ჭყონდიდელის ქანდაკებებისა და დავით ამაშენებელის ფრესკული მოზაიკის განსათავსებლად საუკეთესო ესკიზური კონცეფციის შესარჩევი კონკურსი 2026 წლის 11 მაისიდან.

2. ქალაქ ქუთაისში, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე ზვიად გამსახურდიას, არსენ იყალთოელის, გიორგი ჭყონდიდელის ქანდაკებებისა და დავით ამაშენებელის ფრესკული მოზაიკის განსათავსებლად საუკეთესო ესკიზური კონცეფციის შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა/. დავით ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ/. გიორგი ჭიღვარია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ/. გიორგი გოგალაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის უფროსი - კომისიის მდივანი;

დ/. კონსტანტინე გამსახურდია, ქართველი დიპლომატი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ვაჟი - კომისიის წევრი

ე/. თემურ ამყოლაძე, ქართველი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი, ჟურნალ „განტიადი"-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე - კომისიის წევრი;

ვ/. გიზო თავაძე, ააიპ. „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეა"-ს (ს/კ: 412782127) ფილიალის, ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორი -

კომისიის წევრი;
ზ/. ზაზა ჩხიკვაძე, სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მონიტორინგის სამსახურის, იმერეთის რეუგიონული მონიტორინგის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

3. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისში, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე ზვიად გამსახურდიას, არსენ იყალთოელის, გიორგი ჭყონდიდელის ქანდაკებებისა და დავით ამაშენებელის ფრესკული მოზაიკის განსათავსებლად საუკეთესო ესკიზური კონცეფციის შესარჩევი კონკურსის პროგრამა და პირობები დანართის შესაბამისად.

/დანართი ბრძანებას თან ერთვის/

4. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

7. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი